საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

სამშაბათი 7 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელისმომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 37 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 37

,,სახელმწიფო ძალა-უფლება არის ყველგან ორგანო კლასობრივი ბატონობის. მარა კლასობრივი წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და მფლობელ კლასებ შორის იმდენათ ძლიერია, რომ პროლეტარიატს არასოდეს არ შეუძლია ამ კლასთან ერთათ ბატონობა სახელმწიფოში. მფლობელი კლასი მუდამ მოითხოვს, რომ სახელმწიფო ძალამ განაგრძოს დამორჩილებაში ყოლა პროლეტარიატის. პირიქით იმ მთავრობისაგან, რომელშიდაც მისი პარტია იღებს მონაწილეობას, პროლეტარიატი მუდამ მოითხოვს, რომ სახელმწიფო ძალა მას ეხმარებოდეს კაპიტალთან ბრძოლაში. ამ გარემოებაში პროლეტარულ - ბურჟუაზიული კოალიციონური მთავრობა უნდა დაიმსხვრეს''.

კ. კაუცკი — Путь к власти'', 1910 წელ.

## აღმოსავლეთი და დასავლეთი

ევროპის იმპერიალისტები, რომლებიც თავის შავრაზმულ საქმეებს აპახრაკებენ პარიზ-ლონდონის კაბინეტებში, უეჭველია ცოფ-მორეული კბილთა ღრჭენით ადევნებენ თვალყურს იმას, რაც ამ ჟამათ ხდება ჩამორჩენილ აღმოსავლეთის ქალაქ ბაქოში. აქ მათ წინააღმდეგ ირაზმება ახალი ძალა, აქ იჭედება მათი შესამუსრავი ძლიერი იარაღი. აღმოსავლეთის ხალხები აქტიურათ გამოდიან ბრძოლის ველზე და სამღრთო ომის გრძნობით ანთებულნი მზათ არიან ეკვეთონ გულზვიად ანტანტის იმპერიალისტებს.

აღმოსავლეთი დასავლეთის წინააღმდეგ! ბარბაროსობა ცივილიზაციის წინააღმდეგ! ჩიფჩიფებს კაპიტალიზმის მსახრავი ხელით წელში მოკუნტული ობივატელი და მზათ არის პირჯვარი გამოისახოს ამ ქვეყნის დაქცევის საშიშროების თავიდან ასაცილებლათ.

ბარბაროსები! მაგრამ ამ ბარბაროსებს ის უნდათ, რომ მათ ჩაგვრა-ყვლეფაზე ხელი აიღონ განათლებული ევროპის კაპიტალისტებმა. ეს ძნელი ასატანია ევროპისთვის: ის, მთლათ დაფუძნებული ჩაგვრა ყლეფაზე, უეჭველათ დაემხობა, როგორც კი მის საფუძველს გამოეცლება მდიდარი აღმოსავლეთი — ეს მისი უწყალო ჩაგვრა-ყვლეფის ობიექტი.

მაგრამ არსებულ მდგომარეობის გაგრძელება ათასჯერ უფრო აუტანელია აღმოსავლეთისათვის, რომელიც, სიმდიდრით აღვსილი სიღატაკეში იხრჩობა, სხვისი დამპურებელი თითონ შიმშილით კვდება. ევროპის მონობას აქ მოუპოვებია თავისი საბოლოვო დასაყრდნობი, რის გამოც აღმოსავლეთის დამონება გაცილებით უფრო მძაფრი და აუტანელი შექმნილა.

გრძელდება ევროპის მონობა და ეს იმის წყალობით, რომ აღმოსავლეთი დამონებულია. გრძელდება აღმოსავლეთის დამონება და ეს იმის წყალობით, რომ ევროპა ხელ-ფეხ შებოჭილია.

სოციალურმა რევოლიუციამ გაარღვია ეს მოჯადოებული წრე მონობაზე დამყარებულ აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობისა, მან შეუბრალებლათ გადასჭრა საუკუნოებით დახლართული კვანძი და შექმნა პირობები თავისუფლებაზე აგებულ ახალი ურთიერთობისა.

დასავლეთი მიისწრაფოდა სოციალური თანასწორობისაკენ, მაგრამ ამ მხრით მიმართული მისი უდიდესი ენერგია, სისხლი და აურიცხელი მსხვერპლი უნაყოფო რჩებოდა. აღმოსავლეთი უცხადებს თავისებურ პროტესტს: არ შეიძლება კაცობრიობის განთავისუფლება, როდესაც კაცობრიობის ნახევარზე მეტი სახედარ პირუტყვათ არის გადაქცეული. უნდა განთავისუფლდეს აღმოსავლეთი დასავლეთის ბრჭყალებისაგან და მაშინ არ გაძნელდება თვით დასავლეთის საკუთარი ბორკილების დამტვრევა.

ვის შეეძლო აღმოსავლეთის განთავისუფლება? არავითარ ძალას ძველ ქვეყანაში. მხოლოთ ახალი ძალა, ძველი საზოდან გამოსული ცხოვრების ახალი ფაქტორი, მხოლოთ სოციალიზმი შესძლებს ამ დიადი საქმის გაძღოლას. ასეც მოხდა. კომუნისტური ინტერნაციონალი სოციალისტურ რუსეთთან ერთათ, რომელიც იგერიებს ძველი ქვეყნის გაშმაგებულ იერიშებს, ამავე დროს მებრძოლ ხელს უწვდის დაჩაგრულ აღმოსავლეთს, აყენებს მას ფეხზე და აძლევს საშუალებას თავის განსათავისუფლებლათ.

აღმოსავლეთის განთავისუფლება დასავლეთიდან—ეს სოციალიზმის გამარჯვებაა მთელ მსოფლიოში. ასე ინება ისტორიამ. რომ სოციალიზმის გამარჯვების წინადღით აღმოსავლეთი გვერდში წამოეჭიმოს ამაყ ევროპას, შეებრძოლოს კიდეც მის ძველ ძალებს და ბრძოლის სისხლით განბანილი შევიდეს იმ ახალ ეპოქაში, რომელსაც უკვე იწყებს ევროპის სოციალიზმი.

უსაფუძვლოა დოგმატიური შეხედულებისთვის ასეთი მოვლენის შეთვისება, მაგრამ უჩვეულოა თვით ის დიადი მოძრაობა, რომელსაც მოუცავს მთელი ქვეყანა, უჩვეულოა ის დიადი სანახობა, რომელსაც აღმოსავლეთის ცხოვრებაში წარმოადგენს ბაქოს დღევანდელი სიეზდი.

## ორიენტაციის მოკლე ისტორია

ამ ბოლო დროს თბილისის ბურჟუაზიულმა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა გაზეთებმა,—სულ ერთია რომელ ენაზედაც უნდა იბეჭდებოდენ ისინი ძალიან მოუხშირეს წერას ორიენტაციის შესახებ: „ორიენტაცია საკუთარ თავზე“, „ორიენტაცია ადგილობრივ ძალებზე“, ანუ „ადგილობრივი ორიენტაცია“—აი მათი სალაპარაკო საგანი. და ეს არც გასაკვირია იმ ხალხის და პარტიების თვალსაზრისით, რომლებიც თანამედროვე აბობოქრებულ ცხოვრების ტალღებში იქით მიექანებიან, საითკენაც მათ ქარი მიერეკება.

ჯერ კიდევ გუშინ ეს ნამეტანი ჭკვიანი ხალხი ერთმანეთს ეცილებოდნენ იმ „გენიალური აზრის“ გავრცელებაში, რომ სუსტ ხალხებს არ შეუძლიათ იოლათ წავიდენ, თუ არ მისდიეს ორიენტაციას ძ ლ ი ე რ ზ ე. ამ შეხმატკბილებულ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანოებისათვის სრულიათ საკამათო არ იყო საკითხი, თუ რომელია უფრო ძლიერი რევოლიუციონური ბარიკადის იქით და და აქეთ მებრძოლ ძალებიდან: იმპერიალისტური ბანაკი თუ კომუნისტური. უთანხმოება იქ იწყებოდა, სადაც საჭირო იყო პრაქტიკულად მითითება იმაზე, თუ რომელი იყო უ ძ ლ ი ე რ ე ს ი ძ ლ ი ე რ თ ა გ ა ნ.

როდესაც გერმანული კაპიტალის რაინდები ამაყათ დათარეშობდენ ქვეყნათ, მენშევიკური გაზეთები და აგრეთვე ყველა ქართული გაზეთები „გრუზიას“ მეთაურობით ქვეყანას უმტკიცებდენ, რომ ,,კატაზე ძლიერი მხეცი აღარსად მოიპოვება''. და ყველა ისინი ფერხულში ჩაბმულნი ერთხმათ უგალობდენ დითირამბებს თავის გენიალურ აღმოჩენას.

როდესაც გერმანია ოსმალეთის იმპერიალიზმმა ქედი მოიხარა ანტანტის იმპერიალიზმის წინაშე, მაშინ დაშნაკელთა გაზეთები და აგრეთვე ყველა სომხური გაზეთები ,,სლოვოს'' მეთაურობით დამთვრალები ზეიმობდენ და ყოველი მათგანი თავის ბრძნულ წინასწარმეტყველობას აქებდა.

მაგრამ ერთთაც და მეორეთაც მალე დაუდგათ წინ თავსამტვრევი საკითხები. პოლიტიკაში „ფილოსოფიური ქვის“ ძიების დროს ძლიერის კულტის მაღიარებელმა მენშევიკებმა მალე იპოვეს იგი საერთაშორისო დემოკრატიის სახით, დაშნაკელებმა კი აშკარათ ახალი ქვეყნის დიდი დემოკრატიული ქვეყნის სახით, ხოლო ფარულათ „რუსეთის მხსნელ“ დენიკინის სახით.

მაგრამ ამას კვლავ მოყვა იმედების გაცრუება!.. რაკი აღარ არსებობს ეს ძლიერი, ორიენტაცია ძლიერზე, რასაკვირველია, კრახს განიცდის. რაღა დარჩა?

„ნეიტრალიტეტი!“ ერთხმათ აჭიკჭიკდენ ამიერ-კავკასიის წვრილბურჟუაზიული ბულბულები.

ნეიტრალობა ნიშნავს მსოფლიო შეჯახებაში არ ჩარევას, მის შორეულ მეთვალყურეთ ყოფნას, მისგან ხელშეუხებლობას. მაგრამ ეს მოტყუებაა, რომელსაც ფარავს ეშმაკური გულუბრყვილობა. ხალხთა ცხოვრება ისე გაინტერნაციონალდა, რომ სრულიათ შეუძლებელი შეიქნა—იჯდე შენს სამრეკლოზე და სარკმლიდან ადევნებდე თვალყურს მსოფლიო ამბებს. საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებელ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, თავისი კუთხის დამოუკიდებელ კლასთა ბრძოლაზე ლაპარაკი იმ დროს, როდესაც წარმოებითმა ურთიერთობებმა დიდი ხანია გადალახეს სახელმწიფოებრივი საზღვრები, შეუძლიათ მხოლოთ დამარილებული ტვინის პატრონებს.

ცხოვრების ლოღიკაზე ძლიერი არა არის რა ამ ქვეყნათ. ისტორიის შეუბრალებელი მუჯლუგუნების გავლენით ამიერ-კავკასიის გაბატონებული პარტიები და მათ კუდში მოჩანჩალე ჯგუფები ამ ნეიტრალური პოზიციიდან ადვილათ გადადიან ახალ ორიენტაციაზე, რომელიც არის „ორიენტაცია საკუთარ თავზე“. ეს ორიენტაცია მით განირჩევა არა ბუნებრივ, გამოგონილ თვითგანმარტოებიდან, რომ მას აქვს სრულიათ აშკარა აზრი და მნიშვნელობა, სახელდობრ: თავისი საკუთარი ძალებით „უძლიერესი“ მხარის ვითომდა დაუხმარებლათ სძლიოს სოციალისტურ ბანაკს. მაგრამ რა გამოვა, ფინიამ რომ სპილოს უყეფოს!

გრძნობენ რა საკუთარი ორიენტაციის ფაქტიურ შეუსაბამობას, ჩვენი წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პოლიტიკოსები უკანასკნელათ იწყებენ მის შეცვლას ახალი ორიენტაციით; ეს არის ორიენტაცია ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი, ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ლ უ რ ი, ე. ი. ორიენტაცია არა საკუთარ ძალებზე მარტო, არამედ მეზობელ ქვეყნების ძალთა კოოპერაციასა და კოორდინაციაზე.

დაიწყეს ორიენტაციით უძლიერესზე და გაათავეს ორიენტაციით უსუსტესზე... ამას იქით წასასვლელი გზაც აღარ არის.

აი მოკლე ისტორია ამიერ-კავკასიის პოლიტიკის ბრძენთა ორიენტაციის ძალოყებისა, რომელიც პრაქტიკულათ ამტკიცებს იმპერიალისტურ ბანაკზე ორიენტაციის მთელ შეუსაბამობას და უდღეურობას.

ა. ჯ.

## პროლეტარული ზავის პირობები

გაზ. „პრავდა“-ს № 177 საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოქვეყნებულია დროებითი ზავის, და ზავის წინასწარი პირობები, რომელიც წარედგინა ქ. მინსკში პოლონეთის დელეგატებს რუსეთის და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკების დელეგატების მხრით. აი ეს პირობები:

პოლონეთის ჯარის რაოდენობა განსაზღვრული უნდა იყოს უკანასკნელი წლების გაწვეულთა არა უმეტეს 50 ათასი კაცით. უფროსთა და ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობის პირთა რიცხვი განსაზღვრულია 10 ათასი კაცით. არმიის დემობილიზაცია ხდება ერთი თვის განმავლობაში დღიდან დროებითი ზავზე ხელის მოწერისა. F უ და შეიარაღებულ იქნან ამას გარდა პოლონეთის ქალაქის და სამრეწველო მუშები, რომლებიც პროფესიონალურ ორგანიზაციებში ირიცხებიან—რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის, პოლონეთის და ნორვეგიის პროფესიონალურ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა კომისიის კანტროლის ქვეშ. ზედმეტი იარაღი და სამხედრო მასალა, რომელიც არ ესაჭიროება ხსენებულ ჯარს და მუშებს, გადაეცემა ერთი თვის განმავლობაში განსაკუთრებულ კომისიებს რუსეთის და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკებისა. ხდება პოლონეთის სამხედრო მრეწველობის დემობილიზაცია. პოლონეთი ვალდებულია არ გამოუშვას თავის ტერიტორიაზე და არ მიიღოს დახმარება უცხო სახელმწიფოთაგან და რუსეთ-უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკებისადმი მტრულად განწყობილ ორგანიზაცია—ჯგუფებისაგან ხალხით, ცხენებით, იარაღით და სამხედრო მასალით პოლონეთის დემობილიზაციის და სამხედრო მასალის ჩაბარების დაწყების თანავე, საბჭოთა ჯარები ზურგისკენ იხევენ და იმ დროს, როცა პოლონეთის ჯარის ფაქტიური დემობილიზაცია და სამხედრო მასალის გადაცემა, ნეიტრალური ზონის მოსაზღვრე ადგილებში დარჩება არა უმეტეს 200 ათასი კაცისა.

სამხედრო მოქმედებები ფაქტიურად შეწყვეტილი იქნება დროებითი ზავზე ხელის მოწერიდან 72 საათის შემდეგ, ამასთანავე რუსეთის და უკრაინის საბჭოთა ჯარები შეჩერდებიან იმ ხაზზე, რომელსაც მათ მიაღწიეს იმ მომენტში, მარა არა იმ ხაზის აღმოსავლეთით, რომელიც ნაჩვენებია ლორდ კერზონის 11 ივლ. ნოტაში, პოლონეთის ჯარი ჩერდება 50 ვერსის მანძილზე წითელი ჯარის დასავლეთით, შუა ადგილი კი ნეიტრალურ ზონათ ითვლება.

პოლონეთი უბრუნებს იმ ოლქებს, რომლებიც მას წინეთ ოკუპაციით დაავებული ქონდა, რკინის გზის მოძრავ შემადგენლობას და სატელეგრაფო ქონებას, მოსახლეებს—წართმეულ ცხენებს და გადასახიდ ხაშვალებებს, ხიდების ,,ფერმებს'' დაქცეულ ხიდების აღსადგენათ და დახმარებას უწევს ამ ოლქებს მიყენებული განადგურებათა გამოსასწორებლად.

ყველა კომისიებში, რომლებიც შედგება დროებითი ზავის და საბოლოო ზავის პირობების გამოსამუშავებლად და ცხოვრებაში გასატარებლად, პოლონეთის მხრით მონაწილეობას იღებენ წარმომადგენლები პროფესიონალურ კავშირების, სამრეწველო მუშების და სოფლის ბატრაკების (მოჯამაგირეების) ორგანიზაციების.

საბოლოო საზღვარი პოლონეთის უმთავრესად იმ ხაზზე გაივლის, რაც ნაჩვენებია ლორდ კერზონის ნოტაში, მარა პოლონეთი ღებულობს რამდენიმეთ უფრო ფართო ტერიტორიას ქ.ქ. ბელოსტოკთან და ხოლმთან. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სრულ განკარგულებასა და მფლობელობაში გადადის რკინის გზის ნაწილი ვოლკოვის ბელოსტოკ-გრაევო, ამ გზის ახალი (в полн. отчуждения) შეიარაღებულ მცველი ძალის ყოლის უფლებით. რუსეთს და უკრაინას ეძლევათ უფლება თავისუფალი და ხელშეუხლელი ტრანზიტის პოლონეთის ტერიტორიაზე.

უსასყიდლოთ ურიგდება მიწა ოჯახებს იმ პოლონეთის მოქალაქეთა, რომლებიც მოკლულ და დაჭრილ იქნენ ან და შრომის უნარი დაკარგეს ომში ან ომის გამო.

ამნისტია ეძლევათ იმ პოლონეთის მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთის და უკრაინის ჯარში მსახურობდენ, და მათ, ვინც დასჯილია ისეთ მოქმედებისათვის, რომლის მიზანი იყო ბრძოლა რუსეთთან და უკრაინასთან ომის წინააღმდეგ

პოლონეთის ტყვე-აფიცრები თავის სიცოცხლით პასუხს აგებენ პოლონეთის მთავრობის მიერ დაპატიმრებულ პოლონელ კომუნისტებს რო რაიმე ხიფათი შეხვდეთ.

აი დაახლოვებით განზრახული ზავის პირობები, რომლების დეტალური დამუშავება მოხდება, სანამ მათ პოლონეთის დელეგატებს გადაცემენ.

## ადგილობრივი პრესა.

„ერთობა“ ეხება სამოქალაქო ომის ფრონტს და ასეთ სტრიქონებს უძღვნის აქ შექმნილ მდგომარეობას.

,,მესამე წელიწადია რუსეთი კომუნისტურ ქვეყანათ იქცა და მესამე წელიწადია მას სამოქალაქო ომის საშინელებანი ერთი წუთითაც არ შენელებია. თითქო სასწაულებრივი მანქანებით ერთი ფრონტის ნაცვლათ ჩნდებოდა მეორე, მეორეს ნაცვლათ მესამე, კოლჩაკი, დენიკი, იუდენიჩი ვრანგელი ცვლიან ერთმანეთს და როცა ისიც იყო ყველა ძველი რეჟიმის მოტრფიალეთა ბუდეები უნდა საბოლოვოთ ამოფხვრილიყო, პოლონეთთან გაჩაღდა ბრძოლა“

რა არის ასე განხანგრძლივებული სამოქალაქო ომის მიზეზი? ის, რომ მტერი ჯერ კიდევ არ არის საბოლოვოთ წელში გატეხილი. რუსეთის სივრცეზე განადგურებული, ის მაგრდება საერთაშორისო საფუძველზე და ჯერ კიდევ დიდ ძალას წარმოადგენს. სანამ აქაც არ მოტყდება იგი, უეჭველათ განაგრძობს რევოლიუციაზე თავდასხმას და რაც უნდა უსიამოვნო იყოს აქედან შექმნილი მდგომარეობა, მას ცარიელი წუწუნი ვერაფერს უშველის. ვერც

კონტრ-რევოლიუცია მოიშლის რევოლიუციაზე თავდასხმას და ვერც რევოლიუცია აიღებს ხელს კონტრ-რევოლიუციის შემუსვრაზე. ერთ-ერთმა მათგანმა საბოლოვოთ უნდა გაიმარჯვოს მეორეზე და გაიმარჯვოს საერთაშორისო მასშტაბში, მხოლოთ ამ გამარჯვების შემდეგ შეწყდება სამოქალაქო ომი. როგორია „ერთობის“ პოზიცია ამ აუცილებელი ბრძოლის დროს? ის სწერს:

„მაშასადამე კვლავ ომიანობა უნდა გაგრძელდეს. ამ საშინელების წინააღმდეგ ილაშქრებდა და ილაშქრებს დღესაც საქართველოს დემოკრატია. ამ მუდმივი ფრონტის და სისხლისღვრის წინააღმდეგი იყო იგი“.

როგორც ხედავთ, „ერთობას“ დიდ დამსახურებათ მიაჩნია, რომ ის საერთოთ წინააღმდეგია ამ ომის. მართლაც და რა სჯობია წყნარ ცხოვრებას! მაგრამ აბა კითხეთ, რა გუნებაზეა თავისი ბატონობის დაკარგვის შემდეგ რუსეთის კონტრ-რევოლიუცია და მისი მოკავშირე ევროპის ბურჟუაზია და იქნებ არ გაუმტყუნოთ, რომ ასე თავდაუზოგავათ ცდილობს ის ძველი ბატონობის დაბრუნებას; კითხეთ აგრეთვე რუსეთის მუშას და გლეხს, რა მოაქვს მისთვის კონტრ-რევოლიუციას და იქნება არც იმას გაუმტყუნოთ, რომ ასე მედგრათ იცავს ის რევოლიუციას ყოველი თავდასხმისაგან. მათი მორიგება არ მოხერხდება და სამოქალაქო ომმა უნდა გადაწყვიტოს მათი დავა. ასეა საქმე. „ერთობას“ კი გონია, რომ ომის მიზეზი თითონ ომია ისე, როგორც ორი წაკიდებული კაცის ჩხუბი არის მიზეზი მათ მიერ გამოწვეული აყალმაყალისა. და როგორც ორი მოჩხუბარის უბრალო გაზავებით შეიძლება მშვიდობიანობის აღდგენა, ისევე შესაძლებლათ მიაჩნია „ერთობას“ ის რომ რევოლიუციამ და კონტრ-რევოლიუციამ დღევანდელ მდგომარეობაში ერთმანეთის თავდასხმაზე ხელი აიღონ. ამ ტკბილ ოცნებას „ერთობა“ ეტრფის დღიდან თავისი დაბადებისა და დღემდი ვერ ეღირსა მის განხორციელებას.

წვრილ-ბურჟუაზიულ „ერთობას“ ორივე მებრძოლი მხარე სძაგს. მაგრამ მოვუსმინოთ, როგორ ახასიათებს ის ამ ორი მებრძოლიდან კომუნიზმს:

„მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე რომ კომუნიზმის უკიდურესობანი, მათი დიდი მიზნებით შეკაზმული მტარვალური მოქმედებანი იწვევენ და აახლებენ შინაგან რეაქციის და გარეშე იმპერიალისტების მუდმივ თავდასხმას“.

ჭკუით იყავით, კომუნისტებო, ავს ნუ უზამთ მტერს და ავის ნუ გეშინიათ; ნუ შეეხებით ბურჟუაზიის ბატონობას და ისიც არ მოახდენს თქვენზე თავდასხმას,—ასე გვარიგებს ჭკუას დარბაისელი გაზეთი, რომელსაც გონია, რომ კომუნიზმის უკიდურესობაა ყოველი უბედურობის მიზეზი. ამ უკიდურესობის შესახებ ჩვენ უკვე ვესაუბრეთ მკითხველს და დავარღვიეთ „ერთობის“ ყალბი შეხედულება („ახ. კომ.“ № 27) და თუ გაზეთი კიდევ იმეორებს ძველ სიყალბეს, ალბათ იმიტომ, რომ კაი მთქმელს კაი გამგონეც უნდა.

„თქვენ მუშაობთ—მე ვღებულობ,“ ამბობს ბურჟუა.

„მე ვიმუშავე—მევე ვღებულობ,“ ამბობს წვრილი მესაკუთრე.

„ჩვენ ერთად ვმუშაობთ—ერთადვე ვღებულობთ“. იტყვიან მუშები და გლეხები სოციალისტურ საზოგადოებაში.

**კომუნისტური ინტერნაციონალი ეს ყველა ქვეყნის მუშათა კავშირია კაპიტალის ბატონობის დასამხობათ.**

# ინტერნაციონალის გარშემო

### კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი მოსკოვში

### პირველი სხდომა

### ამხ. ზინოვიევის მოხსენება

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ.“ № 35.)

**რას წარმოადგენს კომუნისტური პარტია**

რას წარმოადგენს კომუნისტური პარტია? მე უკვე განვაცხადე ჩემ თეზისებში, რომ კომუნისტური პარტია არის მუშათა კლასის ნაწილი, სახელდობრ, ყველაზე უფრო მოწინავე, ყველაზე უფრო განვითარებულ კლასიურ შეგნებით და ამიტომ ყველაზე უფრო რევოლიუციონური. შეუძლიან შემოგვედავონ: ეს ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყოველთვის არ არის ასე. ეს მართალია. მართლაც, ზოგიერთი პარტიები, რომლებიც შედიოდენ მე-2 ინტერნაციონალში, აწარმოებდენ ისეთ პოლიტიკას და იმდენათ გადაგვარდენ, რომ ბოლოს და ბოლოს მათთან აღმოჩნდა არა საუკეთესო ნაწილი მუშათა კლასის, არა მის უფრო შეგნებული ნაწილი. და ჩვენ მაინც ვამტკიცებთ, რომ კომუნისტური პარტია თავისი შემდეგი განვითარების დროს შეაკავშირებს საუკეთესო და უფრო შეგნებულ ნაწილს მუშათა კლასისას. ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია ამ შემთხვევაში მასის პარტიასთან დაპირდაპირება, ისე როგორც შეუძლებელია თავის დაპირდაპირება მთელ სხეულთან, ხოლო ადამიანის მარჯვენა ხელის—ტანთან. პარტია კი მუშათა კლასის თავია; კომუნისტური პარტია ეს პროლეტარის მარჯვენა ხელია მის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

რუსეთის რევოლიუციაში ჩვენთან იყვენ ათასი და მილიონი მასები, მათთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ვმუშაობდით, ერთად განვიცდიდით, როგორც დამარცხებას, ისე გამარჯვებას, და ჩვენ მოგვიხდა გვეღვიარებია ყოველ ნაბიჯზე რომ მუშათა მასები შესძლებდენ ნაყოფიერად ემოქმედნათ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ზურგს უკან იდგა ძლიერი თავისი შეკავშირებით, და მისთვის გზის მაჩვენებელი პარტია.

**„მემარცხენე“ ოპოზიცია.**

ხანდისხან ამხანაგები, რომლებიც გამოდიან პარტიის არსებობის აუცილებლობის წინააღმდეგ, გრძნობენ თავს მემარცხენე ოპოზიციათ. ჩემი შეხედულებით კი ეს მემარცხენე ოპოზიცია კი არ არის, არამედ, წინააღმდეგ პარტიის წინააღმდეგ პროტესტი ეს ნაშთია ბურჟუაზიულ გავლენისა პროლეტარიატზე. ბურჟუაზია ღვინოს სვამს, პროლეტარიატს კი წყლის დალევას ურჩევს. ყოველი კეთილი ბურჟუა, როდესაც გახდება 21 წ. უკვე თავისი პოლიტიკური პარტიის წევრი ხდება, ხოლო მუშასთან კი ის მიდის უპარტიოს ფირმით და ურჩევს დარჩენ უპარტიოთ და ამ ანკესზე ხშირათ ეგება პროლეტარი [illegible]ჯერ კიდევ ახლაც, რევოლიუციის თითქმის სამი წლის შემდეგ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ანკესზე ეგება საკმარისათ ფართო წრეები რუსეთის მუშათა კლასისაც.

**ბურჟუაზიის პოლიტიკა მუშათა კლასის მიმართ.**

ბურჟუაზია, უქადაგებს რა მუშათა კლასს უპარტიობას, აწარმოებს სრულიად განსაზღვრულ პოლიტიკას, ისახავს სრულიად განსაზღვრულ პოლიტიკას, ისახავს სრულიად განსაზღვრულ მიზნესს. მას არ შეუძლია მივიდეს მუშებთან და უთხრას მათ: „შემოდით ჩვენს ბურჟუაზიულ პარტიაში“, იმიტომ რომ მუშები არ გაყვებიან ამ რჩევას. აი სწორეთ მაშინ ისახება ახალი თეორია, რომელიც ეუბნება მუშებს; „შენთვის საჭირო არ არის პარტია. შენ სავსებით დაგაკმაყოფილებს პროფესიონალური და სხვა კავშირები; ხოლო პოლიტიკურ პარტიისთვის შენ კიდევ არ მომწიფებულხარ.“ და რადგანაც ბურჟუაზიის ხელთ არის პროპაგანდის ვებერთელა საშვალებები—შკოლები, პრესა, ხელოვნება, პარლამენტი—მან შესძლო გაეხადა პარტიის იდეა უცხოთ მუშათა კლასის საკმარისათ საგრძნობი ნაწილისათვის, და ჩაენერგა მისთვის ყალბი იდეია, რომ მუშათა პარტია საჭირო არ არის.

**მემარცხენეებს ვერ დაუფასებიათ დღევანდელი რევოლიუციური ხანა.**

ის წრეები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ პარტიის წინააღმდეგ და თვლიან თავიანთ თავს მემარცხენეებათ, არ ესმით ის, თუ რა ხდება, და იმეორებენ მხოლოდ მას, რაც მექანიკურათ ჩააგონა მათ ბურჟუაზიამ მთელი თავისი აპარატით ათი წლების განმავლობაში. და აი კიდევ რა: ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენს დროში შეიძლება ბრძოლა პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე, ამტკიცებენ იმას, რომ მათ ვერ შეუგნიათ დღევანდელი რევოლიუციონური ხანის აზრი და ამახინჯებენ მასიმათ რომ შეეგნოთ, რომ ჩვენ დანამდვილებით ფეხი შევდგით გამწვავებულ და გაafთრებულ კლასიურ ბრძოლის პერიოდში, მათთვის უწინარეს ყოვლისა ნათელი იქნებოდა, რომ ასეთ პერიოდში ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა გენერალური შტაბი—მჭიდროთ შეკავშირებული ცენტრალისტური პარტია. ცხადია, მეორე ინტერნაციონალის დაშლის მომენტში, როდესაც გამოაშკარავდა სიკოტრე მთელ რიგი პარტიების გერმანიის სოც.-დემოკრატიული და საფრანგეთის პარტიების მეთაურობით, ბევრ მუშას აუცილებლათ უნდა დაბადებოდა აზრი, რომ პარტიის თვით იდეია გაკოტრდა, და მართლაც, ხშირათ ლაპარაკობენ, რომ ომის დროს კრახი განიცადა პარტიობის იდეის თვითარსმა.

**მეორე ინტერნაციონალის პარტიების კრახი არ შეიძლება ჩაითვალოს პროლეტარულ პარტიების იდეის კრახათ.**

მაგრამ ამის საწინააღმდეგოთ ჩვენი თეზისი ლაპარაკობს: „კომუნისტური ინტერნაციონალი ისევ ისე ღრმათ არის დარწმუნებული იმაში, რომ მეორე ინტერნაციონალის ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიების კრახი არ შეიძლება ჩაითვალოს არავითარ შემთხვევაში საერთოდ პროლეტარულ პარტიობის კრახათ. პროლეტარიატის დიქტატურისათვის პირდაპირი ბრძოლის ეპოქა შობს პროლეტარიატის ახალ პარტიას—კომუნისტურ პარტიას.

ამ პრინციპს ვიცავთ ჩვენ წინააღმდეგ იმ რევოლიუციონურ სინდიკალისტებისა, მსოფლიოს ინდუსტრიალურ იმ ამხ. მუშებისა და შოპ-სტუარტებისა, რომლებსაც ვთვლით ჩვენ მეგობრებათ და ძმებათ, მაგრამ რომლებმაც ამ საკითხში დაიკავეს შემცდარი პოზიცია. სოციალ-პატრიოტების პარტიათა გაკოტრება, მეორე ინტერნაციონალის გაკოტრება კიდევ არ ნიშნავს პარტიობის თვით იდის გაკოტრებას, ვინაიდან ჩვენ ისეთივე უფლება გვექნებოდა გვეთქვა, სინდიკალისტებისათვის, რომ თუ კი ლეჟემაც, გერმანიის ეგრედ წოდებულ, „თავისუფალ“ ყვითელ პროფესიონალურ კავშირებმაც და საფრანგეთის სინდიკალისტებმაც ჟუოს მეთაურობით განიცადეს კრახი. ეს იმას ნიშნავს, რომ კრახი განიცადა აგრეთვე პროფესიონალურ კავშირების თვით იდეამაც. მაშასადამე ჩვენ არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მეორე ინტერნაციონალში მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიების გაკოტრება ნიშნავს პარტიობის თვით პრინციპის გაკოტრებასაც. „მემარცხენე“ დაბნეულმა რულემ ახლახან დიდი ზეიმით განაცხადა, რომ პარტიობის პრინციპი უნდა გაკოტრდეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიასთან ერთად. მაგრამ ეს უბრალო სისულელეა. საბჭოთა სისტემა არა თუ არ უარჰყოფს პროლეტარულ პარტიის არსებობას, არამედ, პირიქით გულისხმობს მას. მაგრამ, რასაკვირველია, ეს პარტია, სულ სხვა „ცომის“ უნდა იყოს, ვიდრე მეორე ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიები, ე. ი. უნდა წარმოადგენდეს ნამდვილ კომუნისტურ პარტიას, რომელიც აკავშირებს მუშათა კლასის ავანგარდს და რომელსაც მისი შემწეობით პროლეტარიატი მიდის გამარჯვებასაკენ.

**რაში მდგომარეობს პარტიობის უარყოფის მიზეზები**

ამრიგათ, ვცდილობთ რა გამოვნახოთ პარტიის ამ უარყოფის ფესვები, ვნახულობთ შემდეგს: 1) უმთავრეს და მეტად ღრმა მიზეზად ამ საკითხში უნდა ჩაითვალოს ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გავლენა, რომელიც შეთვისებული გვაქვს ჩვენ მთელი რიგი წლების განმავლობაში ბურჟუაზიულ პროპაგანდიდან. ეს მორალი მდგომარეობს იმაში, რომ მუშა შეიძლება იყოს უპარტიო, პოლიტიკური პარტია მისთვის საერთოდ არ არის აუცილებელი, და რომ პროფესიონალური კავშირები სავსებით საკმარისია. ეს არის დათმობა ბურჟუაზიულ იდეოლოგიისთვის და მეტი არაფერი.

მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ იმპერიალისტური ომის დროს პარტიები, რომლებიც სულ სხვა იყვენ, ჩვენს თვალ წინ გადაიქცენ მოღალატურ პარტიებათ, რომლებმაც გასცეს მუშათა კლასის საქმე. და ამიტომ ჩვენ ვეუბნებით ჩვენს ამხანაგებს სინდიკალისტების წრიდან, მსოფლიო ინდუსტრიალურ მუშების და მოძრაობის შოპ-სტიუარტის კავშირიდან, რომ ეპოქის მამოძრავებელი მდგომარეობს სრულიადაც არა პარტიის უარყოფაში.

**რაში მდგომარეობს დღევანდელი ხანის ამოცანა**

მაგრამ ეპოქის ამოცანა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, როდესაც ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავე და გააფთრებული ხდება, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ ძველი პარტიების გაკოტრება და ვსთქვათ: ძირს ძველი პარტიები, გაუმარჯოს ახალ კომუნისტურ პარტიას, რომელიც უნდა შეეფერებოდეს ახალ პირობებს. მოხდება სწორეთ იგივე, რაც მოხდა პარლამენტარიზმის იდეის შესახებ. სოციალ-დემოკრატ პარლამენტარიების მთელი ჯგუფის გაცემამ აამხედრა მუშათა კლასის დიდი ნაწილი პარლამენტარიზმის თვით იდეის წინააღმდეგაც. მაგრამ ახლა უკვე ყველასათვის აშკარა ხდება, რომ ახალმა ეპოქამ უნდა წამოაყენოს ახალი პიროვნებებიც თითქმის იმავე პარლამენტებშიაც. ეს პირები, ეს ამხანაგები გახდებიან ახალი მებრძოლები და დაუმტკიცებენ მუშათა კლასს თავისი მოქმედებებით, რომ ბურჟუაზიულ პარლამენტში შეიძლება იყვენ ჭეშმარიტი კომუნისტები, რომ იქაც შეიძლება პროლეტარიატისთვის ღირსეული სამსახურის გაწევა, როგორც [illegible] ბოდა კარლ ლიბკნეხტი, [illegible] საშვალებით, ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ არა მარტო სიტყვიერი პროპაგანდით, არამედ მოქმედებითაც.

პარტიების მთელი რიგი ამტკიცებს თავისი მოქმედებით ახალი პროლეტარული, ნამდვილი კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის შესაძლებლობას.

**„მემარცხენეები“ თავისი პროპაგანდით ობიექტიურათ ბურჟუაზიის საქმეს აკეთებენ.**

ჩვენ თეზისებში ვეუბნებოდით ჩვენს სინდიკალისტებს, რომ რევოლიუციონურ სინდიკალისტების და მსოფლიო ინდუსტრიალურ მუშების კავშირის მომხრეთა პროპაგანდა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის დაარსების წინააღმდეგ იყო და არის ობიექტიურათ მხოლოდ ბურჟუაზიისა და კონტრ-რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატებისთვის მხარის დაჭერა. თავისი პროპაგანდით კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, რომელიც სინდიკალისტებს და ინდუსტრიალისტებს სურთ შესცვალონ ერთიან პროფესიონალურ კავშირებით ან და სხვა და სხვა ჩამოუყალიბებელ „საყოველთაო“ მუშათა გაერთიანებებით, ისინი უერთდებიან აშკარა ოპორტუნისტებს. ასე, მაგალითად; რუსეთის მენშევიკები 1905 წ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ქადაგებდენ ეგრედ წოდებულ „მუშათა ყრილობას“, რომელსაც მუშათა კლასის რევოლიუციონურ პარტიის მაგიერობა უნდა გაეწია, ხოლო ყველანაირი „ლაბურისტები“ ინგლისში და ამერიკაში, აწარმოებენ რა საქმით აშკარა ბურჟუაზიულ პოლიტიკას, უქადაგებენ მუშებს მუშათა კავშირების დაარსებას პოლიტიკურ პარტიის მაგიერ. რევოლიუციონურ სინდიკალისტებს და ინდუსტრიალისტებს სურთ იბრძოლონ ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ, მაგრამ არ იციან როგორ. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ მუშათა კლასი დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიის გარეშე უთავო ტანია.

(შემდეგი იქნება).

# ბიულეტენი პრესბიუროსი

### რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

**საფრანგეთი და ინგლისის დელეგატები.**

**პარიზი**, 21 აგვ. გაზ. „ტანი“ აღწერს ინგლისის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლას საფრანგეთში და შემდეგ გადმოგვცემს; ინგლისის პარლამენტის დეპუტატები და მუშათა პარტიის თავმჯდომარე ადამსონი და ლონდონის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი, გოსლინი, გუშინ 18 აგვისტოს მოვიდენ პარიზში და პირდაპირ სადგურიდან გაეშურნენ საყოველთაო შრომის ფედერაციის ახალ შენობაში, სადაც მათ მიეგებენ ზ.ზ. ჟუო და მარსელ ლორანი. შუადღისას, როდესაც ინგლისის დელეგატები საუზმობდენ, მათთან მივიდა პოლიციის კომისარი და განუცხადა, რომ მათ უნდა დასტოვონ საფრანგეთის ტერიტორია. მათი გადასახლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო იმ დილასვე შინაგან საქმეთა მინისტრმა—სტიგმა, მილიერანის თანხმობით.

დელეგატები ძლიერ გაოცებულნი დარჩენ, როდესაც შეიტყვეს პოლიციის კომისრის მიერ წარმოდგენილი ორდერი. დელეგატებმა სთხოვეს მატარებლის გასვლამდის მიეცათ მათთვის თავისუფლად ყოფნის ნება. პოლიციის კომისარი დასთანხმდა ამაზე, მხოლოდ ჩამოართვა მათ პატიოსანი სიტყვა, რომ ისინი იმ დღესვე საღამოს 9 საათზე წავიდოდენ კალეში. სადილობის შემდეგ დელეგატები პოლიციის აგენტების თანხლებით შეუდგენ თავის საქმეების ასრულებას. მათ ინახულეს შრომის ბირჟა და 6 საათზე საერთაშორისო შრომის ფედერაციაში შეხვდენ ზოგიერთ სოციალისტურ მოღვაწეებს. სოციალისტური პარტიის ზოგ წევრის თხოვნით, დელეგატები წავიდენ მათთან სავახშმოთ. ამ დროს მათთან ისევ მივიდა პოლიციის კომისარი და განუცხადა, რომ უნდა აასრულოს ზოგიერთი ფორმალური მხარეები, გაეცნო მათი პასპორტების შინაარსს და დაწვრილებით გამოკითხა მათი წასვლის შესახებ.

საქმე იმაში იყო, რომ ბულონის კომისარი, რომელმაც ბრძანება მიიღო არ შემოეშვა ისინი საფრანგეთში, ფიქრობდა რომ ისინი მოვლენ 18 აგვ. გემით შუადღეზე, იმ დროს, როდესაც დელეგატები უკვე დილით 8 საათზე მოვიდენ პარიჟში.

ინგლისის დელეგაციის წასვლის შემდეგ შესდგა საერთაშორისო შრომის ფედერაციის აღმასრულებელი ორგანოს კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გამოაქვეყნონ მანიფესტი, რომელშიც შემდეგი პუნქტებია:

1) პროტესტი ინგლისის დელეგაციის გადასახლების გამო.

2) რუსეთთან დამოკიდებულებაში საფრანგეთის პოლიტიკის კრიტიკა.

3) საფრანგეთის მიერ ვრანგელის მთავრობის აღიარების გამო პროტესტი.

4) კატეგორიული მოთხოვნა ხალხთა თვითგამორკვევის შესახებ.

**ამერიკელი მუშები პოლონეთის წინააღმდეგ.**

**რეველი**, 28 აგვ. ამერიკის სხვა და სხვა ქალაქების მუშათა ორგანიზაციებმა წარუდგინეს თავიანთ მთავრობას მოთხოვნილება არ გაუწიოს არავითარი დახმარება პოლონეთს რუსეთის საწინააღმდეგო ომში. ჩიკაგოს მუშებს გადაწყვეტილი აქვს გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის მთავრობა არ შეასრულებს მუშათა მოთხოვნას.

**საფრანგეთის მზადება.**

**რეველი**, 25 აგვ. საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს სამხედრო მზადებები აშკარათ ამტკიცებენ იმას, რომ ის ემზადება რუსეთ-პოლონეთ შორის ხანგრძლივ ომისათვის.

**ისპანიის სამხედრო მოქმედებები.**

**ტეტუანი**, 25 აგვ. ბენი-ზომარის მახლობლათ ისპანიის ჯარებმა დაიკავეს სამი პოზიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისპანელებს მოუკლეს 2 თეთრ კანიანი და 14 შავ კანიანი ჯარის კაცი. დაუჭრეს 2 ოფიცერი და 18 ჯარის კაცი. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა.

**მუშების აჯანყება ამერიკაში.**

**ვაშინგტონი**, 26 აგვ. სამხედრო გემ „საკრამენტოს“ ებრძანა წავიდეს პორო ლამპეს (კოსტა რიკე) პორტებისკენ, სადაც მუშათა აჯანყებები დაიწყო.

**საფრანგეთის სოციალისტების პროტესტი.**

**პარიზი**, 21 აგვ. მარსელ კაშენის თავმჯდომარეობით შესდგა პარლამენტის სოციალისტური ფრაქციის წევრთა კრება. პოლონეთის საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა წინადადება მიეცეს პარლამენტის თავმჯდომარეს—რაულპერეს, სერიოზულ მდგომარეობის გამო მოიწვიოს სასწრაფოთ დეპუტატთა პალატის კრება ამ დადგენილების ასლი დაეგზავნება პარლამენტის ყველა წევრებს. რეზოლიუციაში შემდეგი წერია სხვათა შორის: „მინისტრ მილიერანის მოქმედებებმა საერთოთ და კერძოთ— გენერალ ვრანგელის ცნობამ, არამც თუ განაცალკევეს (სხვა სახელმწიფოეაისაგან) საფრანგეთი, არამედ კინალამ ჩაითრიეს ის საშინელ ომში, მხოლოდ ინგლისის და საფრანგეთის ხალხის აღელვებამ თავიდან აგვაცილა ეს ბოროტება. მაგრამ საფრთხეს ჯერ კიდევ არ ჩაუვლია და შეიძლება ეს საფრთხე გაძლიერდეს ხვალ. ყოველივე მოსალოდნელია იქ მთავრობისაგან, რომელიც შურის ძიებით არის აღვსილი რუსეთის რევოლიუციის მიმართ და სურს დაუბოლავებელი წინააღმდეგობები შექმნას, რომ რუსეთთან არ იქნეს ჩამოგდებული ზავი. ამ მდგომარეობაში ხალხის წარმომადგენელებს ერთათ ერთი გზა დარჩენიათ, რომ, მოვითხოვოთ პარლამენტის სასწრაფო მოწვევა.“ რაც შეეხება ინგლისის მუშათა დელეგატების საფრანგეთიდან გადასახლებას, ამის შესახებ სოციალისტ დეპუტატების კრებამ დაადგინა პროტესტი გამოეცხადოს მთავრობას ასეთი საქციელისთვის, რითაც შეურაცყვეს მათი (სოციალისტების) ინგლისელი ამხანაგები.

**რუმინია და უნგრეთი**

**კონსტანტინოპოლი**, 28 აგვ. ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ საზღვრებზე მოხდა შეტაკება რუმინიის და უნგრეთის ჯარებს შორის. შეტაკება რამოდენიმე საათი გაგრძელდა. ბრძოლაში მოკვდა და დაიჭრა 37 კაცი.

საჩინო ნაყოფი პროლეტარული კულტურისა, რაც ისე ემწვავათ გაბატონებულ კლასებს და რა გასაკვირია, თუ ამ ნაყოფს ისინი „ბარბაროსობას“ არქმევენ.

ამნაირათ ჩვენ კულტურის ორი სფერო—შემეცნებას და პოლიტიკის—უკვე განვსაზღვრეთ. ახლა გვრჩება კიდევ ორი სხვა სფერო: მორალი და ესთეტიკა.

**ამერიკის მდგომარეობა**

**ბაქო**, 4 სექტემბერი. ბაქოში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე დაესწრენ ამერიკელი დელეგატები. ამერიკის მდგომარეობაზე ამბობენ შემდეგს:

რადგან მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა გაუარესებულია და რადგან მთელი ბურჟუაზია შეკავშირდა და ემზადება მუშების წინააღმდეგ საბრძოლველათ—ამიტომ მუშათა მოძრაობის ტალღები ამერიკაში თანდათან ძლიერდებიან. ამერიკის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიას დიდი იდეიური გავლენა აქვს მოპოვებული მუშათა კლასში. პარტიის უახლოესი მიზანია - გააერთიანოს ყველა რევოლიუციონურათ განწყობილი მუშები, რომ დაამარცხოს ყველა შემთანხმებელი სოციალისტური პარტიები, რომ შეუძლებელი იქნეს იმის განმეორება ამერიკაში, რაც გერმანიაში მოხდა. ამერიკას მოელის საშინელი ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი, უმუშევრობა თანდათან იზრდება. ტრანსპორტი ცუდათ მუშაობს, რადგან ხშირია გაფიცვები, საბოტაჟები და სათბობი მასალების უქონლობის. სადგურები და რკინის გზის ხაზები სავსეა ვაგონებით. სურსათი ლპება. ამერიკა დაეძებს ახალ ბაზრებს. მას უნდა დაიპყრას სომხეთის ბაზარი. აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობამ უნდა მიაქციოს ყურადღება ამერიკის ამ კოლონიალურ პოლიტიკას.

**აზერბაიჯანის სტუდენტობა.**

**ბაქო**, 29 აგვ. რადგან აზერბაიჯანს ძლიერ ეჭირვება კულტურული მუშაკები, სახალხო განათლების კომისარმა სთხოვა რევკომს, რომ სტუდენტები გაანთავისუფლონ სამხედროსაგან.

**კოოპერატორების საქმე.**

**მოსკოვი**, 5 სექ. უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალმა დაამთავრა კოოპერატორების საქმის გამოძიება და სამ ბრალდებულო, მათ შორის კერენსკის მთავრობის ყოფილ მინისტრს—ნიკიტინსაც გადაუწყვიტა უმაღლესი სასჯელი—სიკვდილით დასჯა. ეს გადაწყვეტილება ტრიბუნალმა შესცვალა ციხეში დატყვევებით. დანარჩენ ბრალდებულებს მიესაჯათ ციხეში დამწყვდევა. სამი მათგანი ტრიბუნალმა გაამართლა.

**სამხედრო ცნობა.**

**პოლონეთის ფრონტი.**

**ნაუენი**, 6 სექტემ. საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ბელოსტოკი და გრაევო.

**აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა.**

**ბაქო**, 6 სექტ. აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის 1 კრებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ნარიმანოვი.

„ქალარა აღმოსავლეთო, კაცობრიობის კულტურის აკვანო, „შენ დღეს ჰგოდებ ენს უბედურება-მონობას“, დაიწყო თავისი შესავალი სიტყვა ამხ ნარიმანოვმა, მაგრამ უკვე დადგა დრო, რომ ანგარიში გაუსწოროთ, დასავლეთის იმპერიალისტებს, რომ განთავისუფლდეს აღმოსავლეთი დასავლეთ იმპერიალიზმის მონობისაგან. უკვე გამოღვიძებული აღმოსავლეთის ხალხები ძმურ ხელს უწვდიან ერთი მეორეს, რომ საერთო ბრძოლა აწარმოვონ მონობიდან თავის დასახსნელად, განსათავისუფლებლათ.

ეს ბრძოლა სამხედრო მტანჯველების წინააღმდეგ სწარმოებს დასავლეთ ევროპის პროლეტარების დახმარებით. დასასრულ ამხ. ნარიმანოვი წინადადებას იძლევა აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის თავმჯდომარეთ აირჩიონ კომუნისტური ინტერნაციონალის აღამსრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე —ამხ. ზინოვიევი. წინადადება მიღებულია.

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„**ახ. კომ.**“, როგორც მუშათ. კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგურპენიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ.“ რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწვება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

## მუშათა წერილები

### ჩვენ და ჩვენი მტრები.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი პარტია გამოვიდა ასპარეზზე ლეგალურ მუშაობისათვის, მაგრამ ეს მოკლე დროც საკმარისი შეიქნა, რომ მშრომელ მასსაში გამოძახილი ეპოვა ჩვენს გადასროლილ ნაპერწკალს მუშა თუ გლეხი, რომელსაც ცოტათ თუ ბევრათ აქვს თავისი კლასიური შეგნება, რომელსაც ესმის რაშია მისი მომავალი და რა იხსნის მას, ჩვენ შემოგვცქერის, ჩვენგან მოელის ხსნას და აყრას იმ მძიმე ბორკილებისას, რომელიც მას დაადვა მისმა საუკუნოებრივმა მტრებმა, ეს იმიტომ რომ, დღეს მხოლოდ კომუნისტური პარტია არის, რომელმაც არ უღალატა წმინდა პროლეტარულ მიზანს, ის მზათ არის მშრომელი კლასისათვის ჯვარს ეცვას და ტანჯვის გვირგვინი დაიდგას ოღონდ კი მიიყვანოს დატანჯული ხალხი თავის განმათავისუფლებელ საბოლოვო მიზნამდე. ბურჟუაზია ყოველთვის მტერი იყო და იქნება პროლეტარიატისა, რადგან უკანასკნელი მას საუკუნოებრივ სამარეს უმზადებს, მხოლოთ არა ბუნებრივია თითქო ის გარემოება, რომ ამ ბურჟუაზიას, რომლის კლასიურათ მოსპობა დღიურ საკითხათ დგას, წელს უმაგრებს პროლეტარიატის ერთ დროს დამცველი ხოლო ახლა კი მისი ნამდვილი ჯალათები, ეგრეთ წოდებული ოფიციალური „სოციალისტები“.

ამ პროლეტარიატის იუდა ისკარიოტელებმა არამც თუ შეითვისეს თავისი მოკავშირეებისაგან მხეცური მეთოდები ბრძოლისა, არამედ მათაც გადააჭარბეს და მზათ არიან თითეულ პროლეტარულ მოძრაობის ხელმძღვანელის სისხლი დალიონ და რასაკვირველია მით აზიარონ თავისი ბატონები. კაპიტალისტები და ყველა ჯურის რეაქციონერები უსირცხვილო გამყიდველებს და დაკანონებულ შავ ჯალათებს გამბედაობაც შესწევთ თავის თავს მუშათა პარტია უწოდონ და მთელ პროლეტარებს შეერთებისაკენ მოუწოდონ. ნეტა რა ჯურის „პროლეტარებს“ მოუწოდებენ?! ალბათ ისეთებს, რომლებიც როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის სისხლით გაძღნენ, ან როგორც უნგრეთის რეაქციონერები არიან სწორეთ მართალია თქმულება „გულმა გული იცნო და სულმა სულიო“. ეგათ ალბერტ ტომა-რენოდელ-ვანდერველდე იცნეს და უკანასკნელებმა კიდევ რენერ - შეიდემან - ნოსკე - რამიშვილი და კომპ. ხოლო რევოლიუციონური პროლეტარიატი წითელ მოსკოვს უწვდის თავის ძლიერ მარჯვენას, იქიდან მოელის ხსნას, რადგან მან აფეთქა პირველი საძირკველი კაპიტალიზმისა. რუსეთის პროლეტარიატმა, მრავალ გარეშე—შინაურ მტერთაგან გარშემორტყმულმა შესძლო გამკლავებოდა ვერაგ თავდამსხმელებს, ეს იმიტომ, რომ რუსეთის მუშათა კლასი მძლავრია თავისი შეგნება-ერთსულოვნებით ის ან მოკვდება ან გამარჯვებული გამოვა ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლიდან! ეს კარგათ შეიგნეს დასავლეთ-აღმოსავლეთის მუშებმა და თუ ერთ ხანს. ბევრი მათგანი მოსკოვს გაურბოდა, ახლა თითქმის ყველა ისინი მესამე ინტერნაციონალთან მჭიდრო კავშირს იჭერენ. რუსეთის მაგალითებმა ბევრი რამ დაანახვეს მათ და მრავალი გამოცდილება შესძინეს. მართალია კომუნისტებს ყველგან სდევნიან, სტანჯამენ, აწამებენ მაგრამ ეს განა ხელს აალებინებს მათ ბრძოლაზე? არა ტყუილია ძილ დამფრთხალთა მიზანი: რამდენათ ისინი დაგვიწყებენ დევნას, იმდენათ ჩვენ წინააღმდეგობის ენერგიას გავაძლიერებთ, და გავიმარჯვებთ რადგან ჩვენსკენ არის ჭეშმარიტება. კომუნისტების საერთო დევნაში თავისიანებს არც საქართველოს მმართველი პარტია ჩამორჩება; ყველა ქვეყნის ბურჟუაზია და გამცემი სოციალისტები თითქო ერთი ინსტრუქციის მიხედვით გვებრძვიან. ჩვენ, კომუნისტებს არ გვაშინებს ეს, ჩვენი პარტია დაეჩვია ტანჯვა-წამებას. იცოდეთ კი, ბატონებო, ჩვენ განგმირულთა ნაცვლათ წითელ დროშას—ემბლემას თავისუფლებისას კვლავ აღმართავს ახალი რიგი ახალგაზრდა გმირებისა და თქვენს წაბილწულ გვამებზე გადავლით აიტანს მას მშრომელთა კლასის გოლგოთაზე.

**დათიკო.**

## წერილი სამტრედიიდან.

### სამტრედიელი მენშევიკები.

კარგა ხანია, რაც სამტრედიელ მენშევიკებში უთანხმოებამ იჩინა თავი. ისინი გაафთრებული ებრძოდენ ერთი მეორეს. ყოველ „ლიდერს“ თავისი პარტია, საკუთარი ჯგუფი ჰყავდა და რაც ძალი და ღონე ქონდათ სცდილობდენ ერთი მეორის დახმარებას. ჯერ ეს ბრძოლა ხდებოდა ჩუმათ, საკუთარ ოჯახში, რომ ეს ამბავი ფართო მასსას არ გაეგო და „მტრის გულის გასახარისი ამბავი არ მომხდარიყო“. მაგრამ ყოველივეს ხომ საზღვარი აქვს და მენშევიკების „სოლიდარულ, ერთსულოვან შემოქმედებითი მუშაობასაც“ საზღვარი გამოუჩნდა.

„ლიდერები“ დღემდე უთვალთვალებდენ ერთი მეორეს და ცდილობდენ მოწინააღმდეგისათვის სუსტი მხარეები მოენახათ და ამით დაეცათ მისი „პრესტიჟი“.

დღეს ამის დროც დაუდგათ. მომენტიც საუკეთესო შეურჩია „ოპოზიციამ“ გაბატონებულ „ლიდერებს“.

დღეს შესაძლებელი შეიქნა მუშათა ადგილობრივი მასის მიმხრობა, რადგან კითხვა მთელი მუშების, განურჩევლათ პარტიისა, საარსებო ინტერესებს შეეხებოდა. საქმე შემდეგშია: სამტრედიის რკინის გზის მუშების რაიონულ კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ივანე კიკაბიძეს დავალებული ქონდა რკინის გზის კავშირის ცენტრის მიერ სამეგრელოში სიმიდის ყიდვა მუშებისათვის და-

## პროლეტარული კულტურა.

(დასასრული იხ. „ახ. კომუნისტი“ № 36).

კულტურის მთავარი ძარღვი—ეს სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობაა. ეს კლასობრივი ბრძოლის ჩარხია და აი აქაც პროლეტარიატმა ბურჟუაზიისაგან ისწავლა, თუ რა მეთოდი იხმაროს მასთან ბრძოლაში და როგორ მოაწყოს საკუთარი პოლიტიკური პარტია. რევოლიუციონური ბრძოლა, რაც ერთათ-ერთი მეთოდი გახდა პროლეტარიატისათვის, პირველათ თვითონ ბურჟუაზიამ სცადა თავისი მტრის, ფეოდალიზმის დასამხობათ და კიდეც გაიმარჯვა ყველგან ამ ბრძოლაში. ხოლო დღეს პროლეტარიატმა აიღო ხელთ ეს ბასრი იარაღი და ის ცდილობს მით ბოლო მოუღოს თავის კლასიურ მტერს-ბურჟუაზიას, ე. ი. კაპიტალიზმს.

ესევე ითქმის პარტიაზეც და სახელმწიფოზეც. არც ერთი და არც მეორე პროლეტარიატს არ მოეძოდა: ორივე ძალა მხოლოთ ბურჟუაზიის ხელში იყო, დღეს კი ერთსაც და მეორესაც პროლეტარიატი თავისი კლასობრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლათ იყენებს. კომუნისტური პარტია და ამ პარტიის ხელმძღვანელ-წინამძღოლობით და არსებული საბჭოთა რესპუბლიკა დღეს მსოფლიოში პირველ ალაგს იკავებს და თელ კაცობრიობას ბედნიერების კარებს უღებს. აი ეს არის პირველი თვალსაზრისი.

მორალზე ჩვენ არას ვიტყვით გარდა იმისა, რომ ის ყალიბდება თვით ცხოვრებაში და რადგან პროლეტარიატს საზოგადოებრივი ცხოვრება თავის მსგავსათ და ხატათ ჯერ კიდევ არ შეუქმნია, ამიტომ მორალის შექმნაზედაც, როგორც სრულ კოდექსზე, ლაპარაკი ნაადრევი იქნება; ნაადრევია რამდენიმეთ აგრეთვე ესთეტიურ მოღვაწეობა შემოქმედებაზე ლაპარაკიც, ვინაიდან ესთეტიური გრძნობა წინასწარ მორალურ განვითარებას ჰგულისხმობს, თუმცა იმავე დროს მხატვრობა მორალის მხრითაც ადამიანზე დიდ აღმზრდელობითი გავლენას ახდენს, მაგრამ რადგან აქ გარდა მორალურისა სხვა ელემენტებიც შედის და თვით მორალური მხარეც რამდენიმეთ უკვე აქვს პროლეტარიატს გამოსახული, ამიტომ პროლეტარულ ესთეტიკაზე ლაპარაკი და ესთეტიური შემოქმედებაც შედარებით უფრო შესაძლებელია.

მაშასადამე საჭიროა გამოვარკვიოთ სახე და ფორმა პროლეტარული კულტურის მთელი იმ დარგის, რომელსაც მწერლობაში მხატვრული ხელოვნება ეწოდება და რომლის გადმოღება გარდაქმნა ბურჟუაზიული კულტურიდან ისე ადვილი საქმე არაა, როგორც ეს, მაგალ. მეცნიერების შესახებ ითქმის.

აქ გარდა „დიდი მოცალეობისა“ და განსაკუთრებული მხატვრული ნიჭისა საჭიროა თვით პირადი განცდა ცხოვრების იმ ტიპიური მოვლენებისა, რომლებსაც თვით პროლეტარიატი ატარებს ჯერ ბურჟუაზიულ პირობებში, ხოლო შემდეგ მისგანვე შექმნილ ახალ, პროლეტარულ—სახელმწიფოებრივ პირობებში. ასეთ განცდას მოკლებულია ის ინტელიგენტური წრე, საიდანაც გამოდიან ის პირები, რომლებიც კისრულობენ პროლეტარული მხატვრული ხელოვნების ნიმუშების შექმნას. მართლაც და რაღაცნაირი არაჩვეულებრივი ნიჭი უნდა იყოს პიროვნება, რომელმაც უნდა გადალახოს თავისი კლასობრივი საზღვრები და მისთვის უცხო კლასის სულიერი განცდანი სავსებით შეითვისოს და ამ უცხო კლასის ტიპიური წარმომადგენლების ცხოვრებით იცხოვროს.

მართალია ნიჭიერი მხატვარ-ხელოვანნი ბურჟუაზიული წრეებიდან გამოსულნი ხშირათ აგვიწერენ ისეთ ტიპიურ სურათებს და გმირებს, რაც მათ პირად ცხოვრებას დაშორებულია კლასობრივათ და ცდილობენ მუშათა ცხოვრების ნამდვილი გამომხატველნი გახდენ, მარა ასეთები ჯერ ერთი რომ მეტათ იშვიათია და მერე თუ კი არის ასეთი ვინმე, ისიც პოლიტიკურ ასპარეზზე რჩეობს გამოსვლას და არა ხელოვნების სფეროში. რაც შეეხება თვით პროლეტარ-მუშებს, მათ ამისთვის არც შესაფერი დრო აქვთ და არც საჭირო ლიტერატურულ-ტეხნიკური მომზადება გამოცდილება. სწორედ ამ მიზეზებით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენში დღემდე არც ერთი ხელოვანი არა ჩანს ისეთი, რომელსაც მოეცა პროლეტარული მხატვრული ხელოვნების ნიმუში, მხოლოთ რუსეთის პროლეტარიატმა შესძლო დღემდე მოეცა ასეთი სახელოვანი მხატვრები, როგორიც არიან: მაქსიმე გორკი, დემიან ბედნი და რამდენიმე სხვა, ახალი შკოლის ხელოვანი.

პროლეტარული კულტურა ხელოვნებაშიაც ახალი ფორმების შექმნას ცდილობს ისე, როგორც ეს განხყენებულ აზროვნებაში მოახდინა. ლოღიკაზე უფრო საერთო და ფორმალური რამ ადამიანთა შორის ხომ არაფერია, მარა პროლეტარულმა აზროვნებამ აქაც ღრმა ცვლილება შეიტანა. ჩვეულებრივი ლოღიკის ძირითადი ფორმულა, მაგალ. შემდეგშია: „ან ჰო, ან არა“[.] პროლეტარული ლოღიკა კი ამბობს: „ჰოც და არაც“. ერთი შეხედვით ეს თითქო აბსურდია, მარა თუ ჩაუკვირდებით, დაინახავთ, რომ ეს ფორმულა გამოხატავს ეგრეთ წოდებულ „დიალექტიკას“ ანუ ისტორიულ მეთოდს, რომელიც პროლეტარულ აზროვნების საფუძველს შეადგენს.

პროლეტარული ესთეტიკა ხელოვნებაში ძველი ფორმულის—„ხელოვნება ხელოვნებისათვის“—ნაცვლათ აყენებს ფორმულას: ხელოვნება ცხოვრებისათვის, და ამ ფორმულის თანახმათ ცდილობს იგი შეჰქმნას შესაფერი ახალი ფორმები. მანამდე კი ძალაში რჩება ბურჟუაზიული საზოგადოების მხატვარ-იდეოლოგების მიერ შექმნილი ფორმები. და ეს გარემოება არის იმის მიზეზი, რომ დღეს საბჭოთა რუსეთში ისეთ ბურჟუაზიულ გადაგვარება—გადაშენების გამომხატველ ფორმასაც კი აქვს ადგილი, როგორიც არის სიტყვაკაზმული ლიტერატურული შკოლა—ფუტურიზმი და მოდერნიზმი, ჩვენებურათ—ყანწიზმი.

პოეზიის სახეობის განვითარება აღ უკანასკნელ დროს, როგორც ვიცით „სიმვოლიზმში“ გამოიხატა და ეს „სიმვოლიზმი“ მართლაც საუკეთესო ფორმაა პროლეტარული პოეზიისათვის, რომელიც კი დღემდე ბურჟუაზიულ მხატვრობას შეუქმნია და რაც პროლეტარულ ხელოვნებასაც თამამათ შეუძლია გადაიღოს და შეითვისოს.

**რაჟდენ კალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარიგებლოთ. ივ. კიკაბიძეს სიმინდი უყიდია ფუთი 330 მანეთად. ეს ნაყიდი სიმინდი ცენტრისთვის უანგარიშებია 350 მანეთათ ფუთი. ცენტრი ფუთზე 10 პროცენტს აძლევდა მას, ვინც სიმინდს მიუტანდა. ამ რიგათ ივ. კიკაბიძეს მოგება დარჩენია ფუთზე 50 მანეთი. ეს ყველაფერი დაუმტკიცა „ოპოზიციამ" ბ. ივ. კიკაბიძეს რაიონულ კრებაზე—15 აგვისტოს. კრებამ დიდის ხმის უმეტესობით უნდობლობა გამოუცხადა მთელს მენშევიკურ გამგეობას ბ. ივ. კიკაბიძესთან ერთად გადააყენა ის. ამას გაზ. „ერთობის" კორესპონდენტიც („მომავალის" ფსევდონიმით—„ერთობის" 26 აგვ. ნომერი) იტყობინება, თუმცა-და მორცხვათ და იმ მიზეზის დაუსახელებლათ, თუ, რამ გამოიწვია ეს გამგეობისადმი უნდობლობა და მისი გადაყენება. ბატონ „მომავალისთვის" ესეც დიდი იყო. მენშევიკები ჩვეული არ არიან თავიანთ ნაკლზე ილაპარაკონ. ბ. „მომავალმა" ასეთი პატარა გამბედაობის გამო საყვედურიც მიიღო რკ. გზ. კავშ. ცენტრალურ გამგეობისაგან. („ერთობა" № 197) საქმე ისე გამწვავდა, რომ საჭირო შეიქნა კითხვის გადაწყვეტაში ცენტრის ჩარევა. ვერც ამან უშველა საქმეს და როგორც ვიცით სამტრედიის რაიონის „წევის" დარგის მუშებმა გაფიცვით დაემუქრენ; ჯერ კიდევ მუშებს გაფიცვა არ გამოეცხადათ ის რკინის გზ. კავშ. ცენტრალურმა გამგეობამ კავშირიდან გარიცხა და სამსახურიდანაც დაითხოვა „ოპოზიციონერები:"—კიმოთე შენგალია, ლუარსაბ ჯანელიძე, მიტროფანე ჯანელიძე და ვალ. ტორონჯაძე. (ყველა მენშევიკებია—კ. შენგელია—ყოფილი მუშათა საბჭოს თავმჯდომარეთ იყო და მიტროფანე ჯანელიძე კი—სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის წევრათ.) რამდენათ საბუთიანი იქნება მუშების გაფიცვა? გამგეობის საერთოდ, და კერძოთ მისი თავმჯდომარის მოქმედებამ გამოიწვია და არ შეეძლო არ გამოეწვია მუშების გულის წყრომა. მუშების მოთხოვნა—გადაეყენებიათ ძველი გამგეობა, სრულიათ სამართლიანია. მაგრამ მიუხედავათ ამისა გამგეობის გადაყენების, მაგიერ სამსახურიდან დაითხოვეს გამგეობაზე ბრალდებების წამყენებელი მუშები—ე. წ. „ოპოზიციონერი" მენშევიკები.

ამის შემდეგ, რაღა გასაკვირია, თუ მუშების „მოთმინება" [illegible] და მათ [illegible]ცვას მიმართეს, რადგან ცენტრის მოქმედებამ შელახა მათი თავმოყვარეობა და აბუჩათ აიგდო მათი სამართლიანი მოთხოვნა.

„სამტრედიაში ორგანიზაციების წინააღმდეგ ზოგიერთი პირადი ინტერესებით მომუშავე პირების გამოსვლებს დიდი, ხანგრძლივი ისტორია აქვს და მისი ამ პატარა წერილში მოთავსება შორს წაგვიყვანდა. საჭიროთ მიგვაჩნია მხოლოდ ვსთქვათ, რომ ამ უკანასკნელხანებში მათ იერიში მიტანეს რკინის გზელთა კავშირის ადგილობრივ რაიონულ გამგეობაზე"—სწერს „ერთობის" 197 №-ში რკ. გზ. კავშირის ცენტრალური გამგეობა. (იხ. „ერთობა" № 197—სიმართლის აღსადგენათ.) აქედან ნათლად სჩანს, რომ მენშევიკთა ბანაკში ყველაფერი ვერ ყოფილა რიგზე დაწყობილი. ვინ იცის მენშევიკების ბანაკში კიდევ რამდენი „პირადი ინტერესებისათვის მომუშავე პირები"...

ემზადებიან „იერიშის მისატანათ" რომ ასეთი „იერიშება" გარდა სამტრედიისა, სხვაგანაც მიაქვთ „პირადი ინტერესებისათვის მომუშავე პირებს", ეს ჩვენთვის ცხადია. საინტერესო ის არის, რომ ეს იერიშების მიტანა ხდება თვით მენშევიკების მიერ თავის საკუთარ პარტიაზე და თავის სახელმწიფოებრივ ორგანოებზე. მენშევიკების პარტიის რიგების რღვევა კარგა ხანია დაიწყო. ვნახოთ სანამდის გაუძლებს მენშევიკების პარტია ამ „იერიშებს" და რღვევის პროცესს.

Viktor

# პარტიული ცხოვრება.

## პროტესტი.

ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის იაჩეიკამ იქონია რა მსჯელობა სომხეთში მომხდარ დაშნაკელების საზიზღარ მოქმედებაზე, რისი მსხვერპლიც გახდენ საუკეთესო და შეუდრეკელი, სოციალიზმისათვის მებრძოლი ამხანაგები, ვუცხადებთ სასტიკ პროტესტს, მშრომელ პროლეტარიატის სისხლში გათითხნილ დაშნაკელ ჯალათებს.

დეე, გესმოდეთ მტრებო ჩვენი ხმა, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ჩვენ ტალღებს და ყოველივე თქვენი ჯალათური მოქმედება გააორკეცებს ჩვენში ბრძოლის სულის კვეთებას.

თქვენ კი მებრძოლნო! მსხვერპლად შეეწირეთ დიად საქმეს; ჩვენი ავანგარდის მწკვრივში თქვენ უკვე აღარა ხართ, რომ განაგრძოთ ბრძოლა, მაგრამ სახელი თქვენი ისტორიის წითელ ფურცლებზე მარადისადმი იკაშკაშებს, და ჩვენ ფიცს ვდებთ თქვენ საფლავის წინაშე, რომ თქვენ მიერ მუდამ მაღლა აწეულ მესამე ინტერნაციონალის წითელ მოელვარე დროშას არასოდეს ძირს არ დაუშვებთ. და თქვენ კი ტანჯული კლასის მოღალატეებო! გესმოდეთ რისხვა ისტორიის ორთქმავალის კივილის! ძრწოდეთ მისი მოახლოვებით; ის დაამსხვრევს თქვენს ოქროს ხანას!

იაჩეიკის მონდობილ. **მიშელ არ დანი.**

---

საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტთან არსებულ წითელი ჯვრის 1 სექტემბრის სხდომამ მოისმინა რა მოხსენება სომხეთში ამხანაგების მხეცურათ დახოცვის შესახებ საუკეთესო მებრძოლი კომუნისტური იდეისათვის, დაადგინა თავისი გულის წყრომა და სასტიკი პროტესტი გამოუცხადოს სომხეთის რეაქციონურ მთავრობას და მათ შავ რაზმელ ბანდებს, რომლებმაც მხეცურათ ზურგში მახვილი ჩასცენ ხელფეხ შებოჭილს ჩვენს ამხანაგებს და საუკეთესო მებრძოლებს მუშათა იდეისათვის. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ახლოა ის წამი, როდესაც სასტიკ პასუხს აგებენ მთელი ქვეყნის მუშების და გლეხების ჯალათები თავიანთ საზიზღარ მხეცურ საქციელისათვის. მთელი მუშათა ინტერნაციონალის წინაშე. ჩვენ ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური მუშები და გლეხები ამაყათ, შეუდრეკლათ ვუცხადებთ მთელი ქვეყნის ჯალათებს, რომ ვერ შეგვაშინებს ვერავითარი თეთრი ტერორის ტანჯვა წამება. ჩვენ ისტორიის მიერ გამართლებულნი იმედს გამოვთქვამთ, რომ მოკლე დროში მესამე [illegible] კომუნისტური ინტერნაციონალი, როგორც შტაბი მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციისა, შესძლებს დაამარცხოს, როგორც ყვითელს, ისე შავ რეაქციას, და განახორციელებს იმ დიად მიზანს, რომლისთვისაც ასე უხვათ იღუპებიან საუკეთესო მებრძოლნი მთელს მსოფლიოში

## სუჯუნა

29 აგვისტოს შესდგა ამ რაიონის პასუხის მგებელი პარტიულ ამხანაგების კრება, დაესწრო 49 წევრი. მომენტზე ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. სამაზრო კომიტეტის წევრმა ჭ—იამ, კრებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა მომხსენებელი. პარტიულ კითხვების ამოწურვის შემდეგ გაიხსნა კამათი ლეგალიზაციაზე. გამოირკვა, რომ როგორც სუჯუნის რაიონში, აგრეთვე მთელ სენაკის მაზრაში ჩვენი ლეგალურ მუშაობას მენშევიკების ატმოსფერა ვერ ინელებს, არც შეუძლია შეურიგდეს, რადგანაც მათ არალოიალობას ხალხი საკმარისად გაეცნო ჩვენი ორი კვირის ლეგალურ მუშაობის შემდეგ ხალხის სულიერი განწყობილება მშვენიერია, ის ზიზღით და მტრულად უყურებს ბურჟუაზიის დამცველ პარტიას. დემოკრატიას თვალსაჩინო მაგალითებით დაუმტკიცა ცხოვრებამ თუ ვინ ბრძანდებიან ბ. მენშევიკები, ასე რომ, აგიტაცია-პროპაგანდა არ არის საჭირო. მათ წინ გადაშლილია ფაქტი „ბრძნული„ მენშევიკების დემოკრატიისადმი საქციელით სენაკის მაზრაში აუტანელი შიმშილის აჩრთილი მძინვარებს, ისმის ღარიბ გლეხ კაცობის გმინვა, კვნესვა ობვრის ძახილი, შიმშილით სული ძვრებათ, მაგრამ ვინ შეიწყნარებთ? შრომის შვილს შიმშილით სული ძვრება, ბურჟუაზია განცხრომაშია... სუჯუნის რაიონის პარტიულ ამხ. მიუხედავათ მთავრობის მიერ შექმნილ რეპრესიებისა, განაგრძობენ გაასკეცებულ ენერგიულ მუშაობას ლეგალურ ფარგლებში ჩვენ იდეურ ბრძოლას არ შევწყვეტთ სრული ჩვენი გამარჯვებამდი: არ შეუშინდებით ვერავითარ მუქარა დევნას. სალამი საგუბერნიო ციხეში მომწყვდეულ ამხ. კომუნისტებს, გაჭივრების დროს ჩვენ ყველანი თქვენთან ვართ.

ძირს რეპრესიები [illegible] ლეგალურ [illegible]ობას!

**ერასთოსძე.**

# მუშათა ცხოვრება.

## სამტრედია.

2 სექტემბერს ისეთი ამბავი დატრიალდა სამტრედიის დეპოს მუშების და საზოგადოთ სამტრედიის რკინის გზის მოსამსახურეების ცხოვრებაში, რომლის მნახველი დიდიხანია არ ყოფილა აქაური საზოგადოება. დღეს უნდა გარჩეულიყო და სამარცხვინო ბოძზე გაეკრათ ის არამზადები, რომლებიც სარგებლობდენ მუშების ნდობით და იმის მაგივრათ, რომ ემსახურათ მუშებისათვის, ამ ნდობა'ს ბოროტათ იყენებდენ და ათასნაირ უსინდისობას და სპეკულიაციას ეწეოდენ, არის თქმულება: „ციხე შიგნიდგან გატყდებაო", სწორეთ ასე დაემართა აქაურ მენშევიკებს.

სალამოს ცხრა საათი იქნებოდა რკინის გზის კლუბის დარბაზში ტევა აღარ იყო, ბევრი უადგილობის გამო გარეთ იდგა. ეტყობოდა ხალხი მეტისმეტი აღელვებული იყო კრებას თავმჯდომარეობდა საგანგებოდ თბილისიდან ჩამოსული, კარგათ ცნობილი ბატ. ხელაძე. აქვე მოეწვიათ შრომის მინისტრის წარმომადგენელი; იყვნენ სხვა და სხვა პროფ. კავშ. წარმომადგენლებიც.

როგორც ზევით მოგახსენეთ ციხე შიგნიდგან გატეხილა. იმ უსინდისობას, რომელსაც თურმე ჩადიოდა ბატ. გამგეობის თავმჯდომარე, ივანე კიკაბიძე და ძმ.მათნი ვერ შერიგებოდენ ზოგიერთი გამგეობის წევრები. და მართლაც, მათ მზეზე გამოაფინეს კიკაბიძის „მოღვაწეობა", მათ საბუთებით დაამტკიცეს ამ პატარა კაცუნას ასეთი არასაკადრისი მოქმედება. მათ თვალწინ გადაუშალეს მუშებს თუ ბატ. კიკაბიძე რა ბოროტათ სარგებლობდა მათი ნდობით. ეს ვაჟბატონი თურმე ყიდულობდა ოცდა ცამეტ თუმნათ სიმინდს და გაძვალტყავებულ მუშებს კი ოცდა თოთხმეტ თუმნათ აძლევდა. ყველაფერში თურმე ისე მოქმედებდა, როგორც კარგი სპეკულიანტი. ამას გარდა ბატ. კიკაბიძეს სხვა ბევრ ბნელ საქმეებსაც აბრალებდენ, რომელიც თუ დაუმტკიცდა მას არ აშორდება საუკუნო კატორღა. თავმჯდომარე ბევრი ეცადა საქმე შინაურულათ მოერიგებინა და ხალხი დაეწყნარებია, მაგრამ ვერას გახდა. მან მიმართა ხალხს და რჩევას აძლევდა, რომ უმჯობესია დაწყნარდეთ, გაფიცვას ნუ მიმართავთ (მუშები იმუქრებოდენ გაფიცვით), რადგან ამ ამბავს ჩვენზე უწინ ევროპაში გაიგებენ და ჩვენ ბოლშევიკებათ რომ მოგვნათლონ დავიღუპებით, არც პურს მოგვაწვდიან და არც ფართალსო. (ვაშა სოციალისტო!!).

ამის შემდეგ მოიტანეს და წაიკითხეს დეპეშები, რომლებიც მათი სიტყვით გამოგზავნილი იყო თბილისის, ქუთაისის, ხაშურის, ბათუმის ფოთის და შორაპანის შეკავშირებული მუშების სახელით, სადაც აღნიშნავდენ, რომ სამტრედიაში შექმნილი მდგომარეობა ეს არის ერთი მუჭა ანარქისტული ჯგუფის საქმე, რომლებსაც უნდათ ჩვენ რესპუბლიკას ძირი გამოუთხარონო, ამისათვისო, ეწერა დეპეშებში, დასაჯეთ სასტიკათ ეს ანარქისტები და ჩვენი თანაგრძნობა გამოუცხადეთ ივანე კიკაბიძეს და კომპანიასო. ამის გამგონე მუშათა ზღვამ ერთხმათ იგრიალა: „ახლა კი ვიცით თუ რისთვის გარჯილხართ და აქ ჩამობრძანებულხართ! არ გვინდებხართ, ჩვენ ვიცით უფრო კარგათ ჩვენი საქმეო". თავმჯდომარემ ბევრი უყვირა ხალხს, მაგრამ ვერას გახდა; შემდეგ კი დაემუქრა: „თუ არ გაჩერდებით და ჩვენი წინადადებას არ მიიღებთ მე იძულებული ვიქნები თავმჯდომარეობას თავი დავანებოვო". მაგრამ ხალხი მაინც ყვიროდა: „სიცრუეა, თავისი შეთხზული დეპეშებია, ჭორია" და სხვ. ამის შემდეგ ბატ. თავმჯდომარე გულმოსული „შლაპას" იხურავს და ხალხის ყვირილში: „ძირსო", დარბაზს სტოვებს. ხალხი კი გრგვინავს: დეე, წავიდეს: ჩვენ ჩვენებიდან ამოვირჩიოთ ჩვენი კაცი და კრება დავასრულოთო". არ ვიცით თუ რითი დამთავრდებოდა ეს აურზაური, რომ ბატ. ვიქტორ თევზაიას, რომ დიპლომატობა არ ეხმარა და, ვითომც აქ არაფერიაო, დაწყნარებულათ მიმართა ხალხს: „ამხანაგებო, აქ არაფერი არ ყოფილა ისეთი, რომ აღშფოთებულიყავით, აქ მხოლოთ პატარა გამოურკველობა იყოვო", და მან რამოდენიმეთ ნაბიჯი გადადგა დათმობისაკენ, რითაც თითქმის სანახევროთ მიაღწია მიზანს. ბოლოს, დიდიხნის კამათის შემდეგ, კრებამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომელშიაც გამგეობას უნდობლობა გამოუცხადა, თითქმის ერთხმათ და მოითხოვს: დათხოვნილი ამხანაგების დაშვებას სამუშაოზე, ახალი არჩევნების დანიშვნას და ამ საქმის გადაცემას ცენტრალურ პროფ. კავშ. აღმას კომიტეტისთვის გამოსაძიებლათ.

**ილპანი.**

## საგანგებო რაზმის ახალი იერიშები

ყველამ იცის, ყველასათვის აშკარაა, რომ კომუნისტებს თბილისში ოფიციალური ბინა აქვთ, სადაც პარტიული მუშაობა სწარმოებს ლეგალურად კონკრეტულ პირობებში: ყველასათვის დასანახათ. ეს ბინა არის—ყოფილი ლონდონის სასტუმრო ხოლო ახლა „რუსსოვეტად" წოდებული. ამ ბინაში არის თავმოყრილი თბილისის კომიტეტი, 1, 2, 3 და 4 რაიონის კოლექტივები და ს. წულუკიძის სახელობაზე გახსნილი წიგნთ-საცავ სამკითხველო. ამ ბინაში ყველას შეუძლია შემოსვლა, როგორც პარტიის წევრს, ისე გარეშესაც, თუ გინდ საგანგებო რაზმის წევრსაც, ასე რომ ხსენებულ ბინაში რაიმე ნებადაურთველ მოქმედებაზე ლაპარაკი ზედმეტია; მიუხედავათ ამისა, „რუსსოვეტის" ბინას საგანგებო რაზმის წევრები ერთავათ დარაჯობენ გარედან. 30 აგვისტოს და 1 სექტემბერს დარაჯობითაც არ დაკმაყოფილდენ და მოქმედებაზე [illegible].

30 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, „რუსსოვეტის" ბინიდან გამოსულები (10 ამხანაგი) დააპატიმრეს და საგანგებო რაზმში წაიყვანეს. გამოუშვეს 1 სექტემბერს იმ პირობით, რომ 3 დღის ვადაში საქართველოს ტერიტორიას დასტოვებენ.

1 სექტემბერს 8—9 საათზე, იმავე ბინიდან გამოსულები დაუპატიმრებიათ (16 ამხანაგი), რომელნიც იმყოფებიან რაზმის ბინაზე. აქ „წმინდა მთავარ ანგელოზების" „რუსსოვეტთან" ასეთი ალვირ აწყვეტილი თარეში მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს პარტიის წევრებზე.

საგანგებო რაზმის ამგვარი მოქმედება პარტიის ოფიციალურ ბინიდან გამოსულების უმიზეზოთ დატუსაღება პირდაპირ დარღვევაა იმ ხელშეკრულობის, რომელიც დადებულია საბჭოთა რუსეთის და საქართველოს შორის, და ამიტომ საჭიროა შევეკითხოთ „ვისაცჯერ არს". იცის თუ არა ეს ამბავი შინაგან საქმეთა მინისტრმა, და თუ იცის, რა ზომების მიღებას აპირებს თავხედი აგენტების ასალაგმავად?

## პროტესტები.

25 აგვისტოს, 1920 წ. ქ. თბილისში მოწვეული იყო საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველი ლეგალური ყრილობა, რომელიც ნებადართული იყო თვით ბატონ მინისტრისა და განსაკუთრებულ რაზმის უფრ. კედიას მიერ. მიუხედავათ მათი ნებართვისა თვით მათივე ბრძანებით იქნა გარეკილი ლეგალური ყრილობა და დატუსაღებული ყრილობის თავმჯდომარე ამხ. ბორის ძნელაძე. რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ ვერ მოითმინა ლეგალური ყრილობის და მისი არსებობის ფეხქვეშ გათელვა და სასტიკი პროტესტი განაცხადა ასეთ უხეშ ძალდატანებითი მოქმედებაზე. იმსჯელა რა გურიის ცენ. კომიტეტმა ასეთ უმსგავსო მოქმედებაზე სასტიკ პროტ. და გულისწყრომას გამოსთქვამს გაბატონ. პარტიებზე და განსაკუთრებულ რაზმის აგენტების წინააღმდეგ. ს. მ. და გ. ა. კ. ქ. გურიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა გურიის მუშათა ორგანიზაციებს და ღარიბ გლეხებს სასტიკი პროტესტი განაცხადონ ასეთი უხეში მოქმედების წინააღმდეგ.

**ს. მ. და გ. ა. კ. პ. კ. გურიის ცენტრალური კომიტეტი.**

---

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის აბაშის რაიონულმა კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე იქონია რა მსჯელობა იმის შესახებ, რომ კავშირის ყრილობა გარეკეს და არ მისცეს მუშაობის ნება, გამოსთქვამს თავის ღრმეს აღშფოთებას და სასტიკ პროტესტს ჩვენი ლეგალურ ორგანიზაციების ყრილობის ვერაგულად ჩაფუშვისთვის.

ძირს რეპრესიები! გაუმარჯოს ქართველი მუშა ხალხის გათვითცნობიერებას!

გაუმარჯოს საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს!

**საქ. მუშ. და გლ. ახ. კომუნ. კავშირს აბაშის რაიონული კომიტეტი.**

1920 წ., 3 სექტემბერი.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კავშირის ლანჩხუთის რაიონის კომიტეტი უცხადებს სასტიკ პროტესტს და გულის წყრომას, საქართველოს მართველ პარტიას მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ყრილობის გარეკისათვის, და ამბობს: ეს არის მორიგი სიკოტრე შუბლგარეცხილი მენშევიკებისა, რასაც ბრმაც კი ხედავს. მენშევიკების ასეთმა ჯალათურმა საქციელმა მუშათა ახალგაზრდობის წინააღმდეგ ერთი ათათ გააძლიერა ჩვენი ორგანიზაცია.

დღეს ჩვენი წევრიც და არა წევრიც ყველა ხედავს, რომ ჩვენ, ახალგაზრდებს, გვდევნიან კომუნისტობისათვის. მარქსის იდეების შესწავლისათვის.

და ამას რომ დაუმატოთ კიდევ „ერთობის" „ბრძენის სიდინჯე" რომელიც ამბობს: „კომუნისტებს აჯანყებისათვის მზადება თუ არ ქონდა მიზნათ [illegible] საგანგებო რაზმის წინაშე-არ გახსნეს კრებაო"; [illegible] „უტიფარნო" სად, ან როდის მომხდარა, ერთი მაგალითი დაგვისახელეთ, რომ პარტიულ ყრილობაზე ისწრებდენ არა წევრს და ისიც აგენტს? მაგრამ ამ უნამუსო განცხადებით ერთი სარგებელი მოგვიტანეთ ჩვენ. სახელდობრ: ახალგაზრდა მენშევიკები, რომლებიც დღემდი „კაზიონებათ" ითვლებოდენ, ამბობენ: „დღმდი ზოგიერთი ნაბიჯები მაინც, მიმართული კომუნისტების წინააღმდეგ სამართლიანათ მიგვაჩნდა. მაგრამ ახლა როცა რეკენ კომუნისტთა ახალგაზრდობის ყრილობას, იმ ყრილობას, რომელსაც ჯერ არც კი გამოუმუშავებია თავისი სამოქმედო გეგმა' ვამბობთ; საჭიროა აწი მაინც ყველამ თვალები გავახილოთ და შეუდგეთ ბრძოლას სოციალისტურ ქურქში გადაცმულ მგლების წინააღმდეგო".

საქ. მუშ. და გლეხ. კომუნ. ახალგაზრდობის ლანჩხუთის **რაიონული კომიტეტი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ გაზ. „ახალი კომუნისტის" საშუალებით ნება მომცეთ პასუხი მივცე მოქ. გიგო ჯიქიას, რომელმაც ინება და ჩემს წინააღმდეგ წერილი მოათავსა „ახალ კომ." მე-34 №-ში, რომლითაც ის საამხანაგო სამართალში მიწვევდა; ამაზე ადრე კიდევ მან გაზ. „ერთობაშიაც" ინება ჩემი სამედიატორო სამართალში გაწვევა, რის გამოც მე პასუხი მივიტანე ხსენებული გაზეთის რედაქციაში, მარა იქ „ახალ კომუნისტზე", მიმითითეს. ყველაფერი ეს, ცხადია, ჩვენ შორის კინკლაობათ იქცა, რასაც „ახალ კომუნისტის" რედაქცია სამართლიანათ შენიშნავს და პროფესიონალთა კავშირის გამგეობაც შეეცადა ეს კინკლაობა დროზე მოესპო. ჩვენ შორის მოხდა მორიგება და ამნაირათ დავიწყებულ უნდა იქნას ყოველივე, რაც ჩვენი ურთიერთშორის ჩამოვარდნილ უკმაყოფილება-უსიამოვნებას შეიცავდა.

ალ. ალავიძე.

---

**დრ. რედაქტორი: დიმიტრი ჯორბენაძე.**

სტამბა „ეროვნული" დიდი ვანქის ქ. № 3.